



ცხოველთა დაცვის ევროპის კონვენცია საერთაშორისო ტრანსპორტირებისას

პარიზი, 13 დეკემბერი, 1968 წ.

ტექსტი შესწორებულია დამატებითი პროტოკოლის პირობების თანახმად (EST №103), რომელიც ძალაში შევიდა 1989 წლის 7 ნოემბერს

ევრო კავშირის წევრმა ქვეყნებმა, ხელმომწერმა მხარეებმა, განსახზავრეს რომ ევრო კავშირის მიზანია წევრ ქვეყნებს შორის ერთიანობის მიღწევა პრინციპებისა და იდეალების განსახზავრისა და დაცვის მიზნით, რაც მათ საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს.

დადასტურებულია რომ ცხოველთა საერთაშორისო ტრანსპორტირების მოთხოვნები არ აკმაყოფილებს ცხოველთა კეთილდღეობის პირობებს.

შემდგომისდაგვარად უნდა დავიცვათ ცხოველები ტრანსპორტირებით გამოწვეული ტანჯვისა და სტრესისგან.

ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ცხოველთა საერთაშორისო ტრანსპორტირების ერთიანი პირობების მიღებისა და დამტკიცების შედეგად, რაც მდგომარეობს შემდეგში:

თავი I

სტატია 1

1. კონტრაქტის მიმდებმა მხარეებმა უნდა დაიცვან ცხოველთა საერთაშორისო ტრანსპორტირების ის პირობები რომელიც მოცემულია შეთანხმებაში.
2. ამ მიმართულებით საერთაშორისო ტრანსპორტირების კონვენცია გულისხმობს ნებისმიერ გადაადგილებას, რომელიც საზღვრის გადაკვეთასთან არის გაკავშირებული.
3. ქვეყნის ხელისუფლების ტრანსპორტირების კომპენენტურმა სამსახურმა უნდა შეამოწმოს და გადაწყვიტოს აკმაყოფილებს თუ არა ტრანსპორტი (ტრანსპორტირება) ამავე შეთანხმების პირობებს. ამავედროულად შეამაგაღმა ქვეყნებმაც უნდა განიხილონ ტრანსპორტირების საკითხი: აკმაყოფილებს თუ არა ნებისმიერი სპეციფიური ტრანსპორტი (ტრანსპორტირება)

- შეთანხმების პირობებს. აუცილებლად დაკავებული და შეჩერებული უნდა იქნას ის ტვირთი, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ცხოველთა კეთილდღეობას.
4. კონტრაქტორმა მხარეებმა უნდა განახორციელოდ ყველა აუცილებელი ქმედება რათა თავიდან აიცილონ ან მინიმუმამდე დაიყვანონ ცხოველთა ტანჯვა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც მათი ქვეყნის ტერიტორიაზე ადგილი აქვს გაფიცვებს ან სხვა სახის წინასწარ გაუთვალისწინებელ გარემოებებს. ამ მიზნით კონვენციაში გათვალისწინებული იქნება ამ მიმართულების პრინციპები.

სტატია 2

ეს კონვენცია ეხება შემდეგი ტიპის ცხოველთა საერთაშორისო ტრანსპორტირებას:

- ა. შინაური ცხოველები: ძროხა, ცხვრი, თხა და ღორის ჯიშთა სახესხვაობები (თავი II);
- ბ. შინაური ფრინველები და კურდღელი (თავი III);
- გ. შინაური ძაღლები და კატები (თავი IV);
- დ. სხვა ძუძუმწოვრები და ფრინველები (თავი V);
- ე. ცივისსხლიანი ცხოველები (თავი VI).

თავი II - შინაური ცხოველები: ძროხა, ცხვრი, თხა და ღორის ჯიშთა სახესხვაობები

ა. ძირითადი პირობები

სტატია 3

1. საერთაშორისო ტრანსპორტირებამდე ცხოველები შემოწმებული უნდა იყვნენ ექსპორტირებელი ქვეყნის პასუხისმგებელი ვეტერინარის მიერ. რომელიც შემოწმების შედეგად უნდა დარწმუნდეს იმაში რომ ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკოფილებელია ტრანსპორტირებისათვის. ამიტომაც, კონვენციის მიზანია კომპეტენტური ხელისუფლების მიერ სწორად იქნას შერჩეული კვალიფიციური პასუხისმგებელი ვეტერინარი.
2. ტვირთი ტრანსპორტირება დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ პასუხისმგებელი ვეტერინარის თანხმობის საფუძველზე.
3. პასუხისმგებელმა ვეტერინარმა უნდა გასცეს სერტიფიკატი, რომელშიც იდენტიფიცირული იქნება ცხოველი ასევე დადასტურებული იქნება რომ ცხოველი მდგომარეობა დამაკოფილებელია ტრანსპორტირებისთვის და მიუთითოს იმ ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი რომლითაც უნდა განხორციელდეს ცხოველის გადაადგილება.
4. კონტრაქტორი მხარეები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში არ ითვალისწინებენ სტატიის ამ პირობას.

სტატია 4

მაკე ცხოველები, რომლთაც 48 საათის განმავლობაში შესაძლებელია დაეწყოთ მშობიარობა არ უნდა ჩაითვალოს ტრანსპორტირებისთვის ვარგისიანად.

სტატია 5

ექსპორტირებელი ქვეყნის პასუხისმგებელმა ვეტერინარმა, სატრანზიტო ქვეყანამ ან იმპორტირებელმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს ცხოველთა დასვენების პერიოდი, ამიტომაც უნდა გამოყონ მათთვის სპეციალური ადგილები და გამოიჩინონ ცხოველებისადმი განსაკუთრებული ყურადღება დასვენების დროს.

სტატია 6

1. ცხოველები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ისეთი დასასვენებელი ოთახებითა დასაწოლი ადგილებით, რომლებიც დაკმაყოფილებს შესაბამის პირობებს.
2. ტრანსპორტის საშუალებები ან კონტეინერები ისე უნდა იყოს აგებული, რომ ცხოველი დაცული იყოს უამინდობის პირობებში და განსხვავებული უნდა იყოს სხვადასხვა კლიმატურ პირობებში. ასევე უნდა იყოს სპეციალური და შესაბამისი ვენტილაცია და კონდიციონერება სხვადასხვა ჯიშის ცხოველებისათვის.
3. კონტეინერზე, რომლითაც ხორციელდება ცხოველის ტრანსპორტირება აღნიშნული უნდა იყოს სპეციალური სიმბოლო, რომელიც მიუთითებს ცოცხალი ცხოველის არსებობას და თვისებას, მის პირდაპირ მდგომარეობას. კონტეინერი უნდა იყოს ადვილად გასასუფთავებელი, ადვილად გამოღწევადი (რაიმე ინცოდენტის შემთხვევაში) და ამავედროულად აგებული ისე რომ გარანტირებული იყოს ცხოველთა კეთილდღეობა. ტრანსპორტირებისა და გადაადგილებისას კონტეინერმა უნდა შეინარჩუნოს ვერტიკალური პოზიცია და არ განიცადოს ზიანი რხევების დროს.
4. ტრანსპორტირებისას ცხოველები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ წყლითა და შესაბამისი საკვებით დროის გარკვეულ ინტერვალში. ისინი არ უნდა იმყოფებოდნენ წყლისა და საკვების გარეშე 24 საათზე მეტი. ეს პერიოდი შესაძლებელია გაიზარდოს იმ შემთხვევაში თუ მიზანმიმართულად გაგრძელდება ცხოველთა მოგზაურობის პერიოდი.
5. ფიზიკური დაზიანებების მქონე ცხოველები აღჭურვილი უნდა იყვნენ სპეციალური მოწყობილებით. ეს პირობა არ ვრცელდება ჯანმრთელ ცხოველებზე.
6. როდესაც ცხოველების ტრანსპორტირება ხორციელდება დაბმული სახით თოკით ან რაიმე სხვა საშუალებით მაშინ იგი უნდა იყოს მყარი რომ არ დაზიანდეს ნორმალურ პირობებში, ხოლო თოკები უნდა იყოს ისეთი სიგრძის რომ ცხოველმა თავისუფლად შეძლოს წყლის დაღვება, კვება და დაწოლა. მსხვილფეხა პორუტვი არ უნდა იყოს დაბმული რქებით.
7. ინდივიდუალურ კაბინებში განთავსებული ფიზიკური დაზიანებების მქონე ცხოველები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ყველა საჭირო პირობებით.
8. 18 თვის ზემოთ მყოფი ბულები სასურველია რომ იყვნენ დაბმულ მდგომარეობაში. მათ უნდა ეკეთოდ ცხვირსარჭი მხოლოდ გარკვეული მიზნით.

სტატია 7

1. როდესაც ხორციელდება სხვადასხვა ჯიშისა და ტიპის ცხოველის ტრანსპორტირება ერთი და იმავე ტრანსპორტით : თვითმფრინავით ან გემით, მაშინ მათი დაჯგუფება უნდა განხორციელდეს ჯიშსა და ტიპის მიხედვით. ამას გარდა უნდა გატარდეს უსაფრთხოების სპეციალური ზომები, რათა თავიდან ავიცილოთ ცხოველების ერთმანეთის მიმართ არასასურველი რეაქცია. როდესაც საერთო ვაგონით ხორციელდება სხვადასხვა ასაკის ცხოველების გადაადგილება, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალებისა ეს იქნება გემი თუ

თვითმფრინავი, ახალგაზრდები და მოზრდილები უნდა განთავსდნენ ცალცალკე-ეს პირობა ეხება მეძუძურ მდედრებსა და მათ ახალშობილებს. ხოლო ბუდეები, და მამრი ღორები, მოზრდილი არაკასრირებული მამრები უნდა განთავსდეს მდედრებისგან განცალკევებით. ასევე ცალცალკე უნდა განთავსდნენ მოზარდი ღორები და ცხენები.

2. იმ კაბინაში, რომლითაც მგზავრობენ ცხოველები არ უნდა იქნას შეტანილი რაიმე სახის ტვირთი რათა საფრთხე არ შეექმნას ცხოველთა კეთილდღეობას.

სტატია 8

ცხოველთა გადაადგილებისთვის გამოყენებული უნდა იყოს სპეციალური მოწყობილობები: ხიდები და დერეფნები. ამ მოწყობილობების ძირი/იატაკი ისე უნდა აგებული რომ არ ცურავდეს და საჭიროების შემთხვევაში გამაგრებული იყოს გვერდითა კედლებით. ტრანსპორტში ასვლისა და ჩამოსვლის დროს ცხოველები არ უნდა ეცემოდნენ თავით, რქებით და არ უნდა უცურდებოდეთ ფეხი.

სტატია 9

სატრანსპორტო საშუალებების: გემის, თვითმფრინავის ან კონტეინერის ძირი/იატაკი უნდა იყოს მყარი რომ გაუძლოს ტრანსპორტირებადი ცხოველების წონას და არ უნდა ჰქონდეს მცურავი ზედაპირი. ძირის/იატაკის ზედაპირი დაფარული უნდა იყოს სპეციალური ფეკალური მასების გამწოვი მოწყობილობით.

სტატია 10

იმისათვის რომ ტრანსპორტირებისას ცხოველებს გაეწიოთ სპეციალური საჭირო მზრუნველობა, გადაადგილებულ საქონელს თან უნდა ახლდეს თანმხლები პირი, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ა. როდესაც საქონლის ტრანსპორტირება ხორციელდება დაცული კონტეინერით;
- ბ. როდესაც ტრანსპორტიორი საკუთარ თავზე იღებს მორიგის ფუნქციას;
- გ. როდესაც გამგზავნი ნიშნავს სპეციალურ აგენტს რომელიც დანიშნულების ადგილზე ჩაყვანამდე იზრუნებს ცხოველის მოვლა-პატრონობაზე.

სტატია 11

1. მორგემ ან გამგზავნის მიერ დანიშნულმა აგენტმა უნდა იზრუნოს ცხოველზე, უზრუნველყოს ის წყლითა და საკვებით, ასევე საჭიროების შემთხვევაში რძით.
2. მერძეული საქონელი უნდა მოიწველოს არა უმეტეს 12 საათის ინტერვალში.
3. თუ აგენტ ან მორიგეს მოვლისათვის ესაჭიროება განათება ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ამ პირობით.

სტატია 12

ცხოველებს, რომლებიც დაავადებიან ან დაზიანდებიან ტრანსპორტირებისას უნდა აღმოეჩინოთ საჭირო ვეტერინარული დახმარება და აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი დაკვლა რათა თავიდან ავაცილოთ არასასურველი ტანჯვა.

სტატია 13

ცხოველები განთავსებული უნდა იყვნენ სატრანსპორტო საშუალებების, თვითმფრინავის ან გემის სუფთა კონტეინტინერებში. გარდაცვლილი ცხოველები, ნაგავი და ფეკალური მასები გატანილი უნდა იქნას რაც შეიძლება მალე.

სტატია 14

ცხოველების ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე უნდა მოხდეს განსაზღვრულ ვადებში, ასევე მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი შეჩერებები და სატრანსპორტო საშუალებების გამოცვლა.

სტატია 15

იმპორტირებასთან და ტრანზიტთან დაკავშირებული ფორმალობები უნდა დასრულდეს რაც შეიძლება სწრაფად, ცხოველთა ტრანსპორტირებაზე დროულად უნდა იყოს ინფორმირებული საკონტროლო გამშვები პუნქტები.

სტატია 16

ის საკონტროლო პუნქტები, რომლების ხშირად ახორციელებენ დიდი რაიოდენობის ტრანსპორტირებადი ცხოველების გატარებას, არტურვილი უნდა საკვები და მოსასვენებელი ადგილებით.

განსაკუთრებულად სარკინიგზო გადაზიდვებისას.

სტატია 17

ყველა სარკინიგზო კონტეინერზე, რომელშიც განთავსებულია ცხოველები, აღნიშნული უნდა იყოს სპეციალური სიმბოლო, რაც მიუთითებს ცხოველის ყოფნას ამ კონტეინერში. თუ რომელიმე კონტეინერი არ არის მისაღები ცხოველთა ტრანსპორტირებისათვის, მაშინ მათი გადაყვანა უნდა განხორციელდეს გადახურული კონტეინერით, რომელიც გამოირჩევა მაღალი სიჩქარით და აღტურვილი უნდა დიდი საჰაერო ვენტილაციური მოწყობილობით. ასეთი ტიპის კონტეინერები უსაფრთხოდ უნდა იყოს აგებული, რომ ცხოველმა ვერ მოახერხოს გაქცევა. კონტეინერის შიგა მხარე უნდა იყოს ხის ან რაიმე სხვა მისაღები მასალით დაფარული რომელზეც საჭირო ზომამდე იქნება დამაგრებული მოსასვენებელი ბრტყელი დართი, სადაც ცხოველები დაწოლას შეძლებენ.

სტატია 18

ინვალიდი ხცოველები დაბმული უნდა სახით ერთი და იმავე მიმართულებით ან ერთმანეთის პირისპირ. ეს არ ეხება მოზარდ ჯანმრთელ ცხოველებს, მათი დამბა არ შეიძლება.

სტატია 19

დიდი მასის მქონე ცხოველების ჩამოტვირთვისას ცხოველებს შორის მანძილი იმხელა უნდა იყოს აგენტმა ან მეთვალყურემ ადვილად სექლოს მაშ შორის გადაადგილება.

სტატია 20

მე-7 სტატიის თანახმად, რაც გულისხმობს ცხოველების გადანაწილებას, ეს უნდა მოხდეს კონტეინერის სხვადასხვა ნაწილებში თუ ამის ფართი არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს სხვა საშუალება.

სტატია 21

სატრანსპორტო საშუალებებით ცხოველების გადაზიდვისას დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ზომები და ცხოველებს უნდა ავაცილოდ ზედმეტი რხევა.

განსაკუთრებულად საავტომობილო გადაზიდვებისას.

სტატია 22

სატრანსპორტო საშუალებები ისე უნდა იყოს აგებული რომ ცხოველმა ვერ შეძლოს გაქცევა, უნდა უზრუნველყოს ცხოველის უსაფრთხოება და ისე უნდა გადახურული რომ ამინდის ცვლილებისას უზრუნველყოფდეს ეფექტურ დაცვას.

სტატია 23

სატრანსპორტო საშუალებები არჭურვილი უნდა სპეციალური მოწყობილობებით განსაკუთრებით მაშინ თუ ახორციელებს დიდი მასის მქონე ცხოველების გადაზიდვას. თუ კონტეინერი მოითხოვს შიდა დაგატიქვრას, მაშინ ტიხრები აგებული უნდა იყოს მყარი მასალისგან.

სტატია 24

მე-8 სტატიის თანახმად სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ჩამოსასვლელი მოწყობილობით.

განსაკუთრებით წყლის ტრანსპორტი.

სტატია 25

სატრანსპორტო საშუალებები ისე უნდა აგებული რომ ცხოველები დაგადგილდნენ ყოველგვარი დაზინებების გარეშე.

სტატია 26

ცხოველები არ უნდა იყვნენ განთავსებული ღია გემბანზე თუ აკონტეინერი არ არის დაცული და არ შეესაბამება კომპეტენტური პირების მიერ დამკვიცებულ ნორმებს რაც გულისხმობს შესაბამის დაცვას ზღვისა და ამინდისაგან.

სტატია 27

ცხოველები დაბმული უნდა იყვნენ სპეციალურ საცავებში ან კონტეინერებში.

სტატია 28

ცხოველების გადამზიდი გემს უნდა გააჩნდეს თავისუფალი შესაშვლელი ყველა კონტეინერსა თუ პრეციალურ სათავსოსთან, ასევე ისინი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი განათების სისტემით.

სტატია 29

ჩხოველები თანმხლები კომპეტენტური პირები უნდა ფლონდნენ სრულ ინფორმაციას ცხოველების რაოდენობასა და მოგზაურობის ხანგრძლივობის შესახებ.

სტატია 30

გემის ყველა ის ნაწილი სადაც ცხოველებია მოთავსებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს დრენაჟებით და დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები.

სტატია 31

საჭიროების შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებები უნდა ფლობდნენ ცხოველის დასაკლავად საჭირო ყველა ინსტრუმენტს.

სტატია 32

ცხოველების გადამზიდი გემი უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლისა და საკვების იდენი მარაგით რასაც საჭიროდ ჩათვლის გამგზავნი მხარის კომპეტენტური პირები, რაც გათვლილი იქნება ცხოველების რაოდენობისა და მოგზაურობის ხანგრძლივობაზე.

სტატია 33

განსაკუთრებული პირობები უნდა არსებობდეს დაავადებული ან დაზიანებული ცხოველებისათვის, საჭიროების შემთხვევაში მათ ინდა აღმოეჩინოთ სასწრაფო დახმარება.

სტატია 34

25 და 33 სტატიები არ ეხება ცხოველების გადაზიდვას სარკინიგზო სატვირთო ვაგონებით, საავტომობილო საშუალებებით, ნაგებითა და მსგავსი საზღვაო საშუალებებით.

განსაკუთრებით საპაერო ტრანსპორტი.

სტატია 35

ცხოველები ტრანსპორტირებული ინდა იყოს კონტეინერებით რომელიც შესაბამისი უნდა იყოს ყველა ცხოველის ჯიშისთვის.

სტატია 36

დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ზომები რათა ბორტზე თავიდან იქნას აცილებული მკვეთრი თემოერატურული ცვლილება, ძალიან მაღალი ან დაბალი ტემპერატურა, იგი შესაბამისად უნდა იქნეს დარეგულირებული თითოეული ჯიშისთვის. ასევე თავიდან უნდა ავიცილოთ წნევის კვეთრი ცვალებადობა.

სტატია 37

საჰაერო სატვირთო ტრანსპორტი აღწერილი უნდა იყოს ცხოველთა დასაკლავად საჭირო სპეციალური აპარატურით.

თავი III - შინაური ფრინველები და კურდღლები

სტატია 38

II თავის შემდეგ სტატიებში შეტანილია ცვლილებები შინაური ფრინველების და კურდღლების ტრანსპორტირებაზე: სტატია 6, პარაგრაფი 1-3, სტატია 7, 13 -17 ასევე 21, 22, 25-30, 32, 34-36.

სტატია 39

1. რეკომენდირებული არ არის დაავადებული და ფიზიკური საზიანების მქონე ცხოველების ტრანსპორტირება, ხოლო თუ ცხოველი დაავადდება ან მიიღებს ფიზიკურ დაზიანებას ტრანსპორტირების პერიოდში მას უნდა აღმოეჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება და საჭიროების შემთხვევაში ვერეერინარული ექსპერტიზა.

2. უსაფრთხოების განსაკურთებული ზომები უნდა მივიღოთ მაშინ, როდესაც ცხოველები გადამზიდ ტრანსპორტში განთავსებული არიან 2 სართულზე, რათა თავიდან ავიცილოთ ზედა ზართულის ჩამონგრევა და ქვედა სართულზე მყოფი ცხოველების დაზიანება.

3. აუცილებელია ტრანსპორტში იყოს შესაბამისი რაოდენობის წყლისა და საკვების მარაგი, შემდეგ შემთხვევებში:

ა. მოგზაურობა გრძელდება არაუმეტეს 12 საათისა;

ბ. ყველა ტიპის ფრინველისათვის მოგზაურობა გრძელდება არაუმეტეს 12 საათისა.

თავი IV – შინაური ძაღლები და კატები

სტატია 40

1. ამ თავის პირობები ეხება მხოლოდ იმ შინაური ძაღლებსა და კატებს, რომელთაც ტრანსპორტირებისას არ ახლავს მეთვალყურე ან მეპატრონე.

2. II თავის შემდეგი სტატიები ექვემდებარებიან ცვლილებას შინაური ძაღლების და კატების ტრანსპორტირების პირობებში: სტატია 4, სტატია 6, პარაგრაფი 1-3, სტატია 7, 9, 10, 11, პარაგრაფი 1 და 3, სტატია 12-17, 20-23, 25-29 და 31-37.

სტატია 41

ცხოველები ტრანსპორტირებისას უზრუნველყოფილი ინდა იყვნენ საკვებით 24 საათის ინტერვალში და წყლით 12 საათის ინტერვალში. წყლისა და საკვების მიწოდებაზე უნდა არსებობდეს მკაფიო წერილობითი ინსტრუქციები. ავღზნებადობის პერიოდში მდედრები განცალკევებით უნდა განთავსდნენ მამრებისაგან.

თავი V – სხვა ძუძუმწოვრები და ფრინველები

სტატია 42

1. ამ თავის პირობები ეხება იმ ძუძუმწოვრებსა და ფრინველებს, რომლებიც არ იყო განხილული წინა თავებში.
2. II თავის შემდეგი სტატიები ექვემდებარება ცვლილებებს სხვა ძუძუმწოვრებთან და ფრინველებთან მიმართებაში: სტატია 4, 5, 6, პარაგრაფი 1-3.
3. სტატია 7-10,11, პარაგრაფი 1,3, სტატია 12-17, 20-37.

სტატია 43

ცხოველების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალურად აგებული სარტანსპორტო საშუალების კონტეინერებით, გარეული და განსაკუთრებით სახოფათო ცხოველების შემთხვევაში აგებული უნდა იყოს სპეციალური მიმართულების კონტეინერები. უნდა არსებობდეს წერილობითი ინსტრუქცია წყლისა და საკვების მოწოდებაზე, ასევე მოვლის სპეციალური მეთოდებზე.

სტატია 44

არ არის მიზანშეწონილი ირმისებრთა ოჯახის ცხოველების ტრანსპორტირება რბილი პირობების გარეშე იმ შემთხვევაში თუ არ არის მიღებული განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომები.

სტატია 45

ამ თავში აღნიშნული ცხოველების მოვლაზე ვრცელდება იგივე პირობები რაც სტატია 43.

თავი VI – ცივისხლიანი ცხოველები

სტატია 46

ცივისხლიანი ცხოველების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალური კონტეინერებით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური ვენტილაციითა და ტემპერატურით, ასევე წყლისა და ოქსიგენის იმ რაოდენობით რაც გათვალისწინებულია თითოეული ჯიშისთვის. ამ ცხოველების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს განსაზღვრულ ვადებში.

თავი VII – დავის შეწყვეტა

სტატია 47¹

1. ამ კონვენციის დავის საკითხებზე კონტრაქტორმა მხარეებმა კონსულტაცია უნდა გაუწიონ ერთმანეთს. ასევე ყოველი კონტრაქტორი მხარე კომპეტენტური ხელისუფლების სახელითა და მისამართით უნდა დაუკავშირდეს ევრო კომისიის გენერალურ მდივანს.

2. თუ დავა არ იქნება შეწყვეტილი მაშინ მხარეებმა უნდა მიმართონ არბიტრაჟს. ორივე მხარემ უნდა დანიშნოს არბიტრი და 2 არბიტრმა უნდა აირჩიოს რეფერი. თუ რომელიმე მხარე არ წარადგენს თავის არბიტრს 3 თვის განმავლობაში, მაშინ იგი არჩეული იქნება მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის სასამართლოს პრეზიდენტის მიერ. თუ ეს უკანასკნელი აღმოჩნდება რომელიმე მოდავე მხარის ეროვნების მაშინ დავის მოგვარება გადადის ვიცე სასამართლოს პრეზიდენტის უფლებამოსილებაში ან თუ ეს უკანასკნელიც რომელიმე მოდავის მხარის ეროვნებისაა მაშინ უფლებამოსილება გადადის სასამართლოს უფროს მოსამართლე, რომელიც არ იქნება იგივე ეროვნების. შესაბამისი პროცედურების გავლა იქნება საჭირო იმ შემთხვევაში თუ არბიტრები ეწინააღმდეგებიან რეფერის არჩევას.

ავის შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტორი მხარეებიდან ერთერთი არის ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი, მაშინ ეს უკანასკნელი თვითონ წარმოადგენს კონტრაქტორ მხარეს, მეორე კონტრაქტორმა მხარემ უნდა მოითხოვოს არბიტრაჟი როგორც წევრისთვის ასევე გაერთიანებისთვის, რომელმაც ერთდროულად უნდა აცნობოს ორივე მხარეს მოთხოვნის მიღება 3 თვის განმავლობაში: წევრს ან გაერთიანებას ან წევრს და გაერთიანებას ერთობლივად, რომლების შემდგომში წარმოადგენენ დავის მხარეებს. განსაზღვრულ ვადებში ამ ცნობის არ მიღების შემთხვევაში წევრმა და გაერთიანებამ უნდა განიხილოს დავა პირობების წარდგენის მიზნით, მოქმედი კოსტიტუციისა და არბიტრაჟის ტრიბუნალის პროცედურების თანახმად. ამავე გზით ხორციელდება დავის მოგვარება თუ წევრი და გაერთიანება ერთობლივად წარმოადგენენ მოდავე მხარეს.

3. არბიტრაჟის ტრიბუნალმა თავისი პროცედურები თავითონვე უნდა დაადგინოს. გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ხმათა უმრავლესობით. მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო.

თავი VIII – საბოლოო პირობები

სტატია 48²

1. კონვენციის ხელმოწერა ღია უნდა იყოს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის. ის უნდა წარმოადგენდეს რატიფიკაციის ან მიღების სუბიექტს. რატიფიკაციის ან მიღების ინსტრუმენტები შემიღებული უნდა იყოს ევრო საბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

2. კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს 6 თვის შემდეგ რატიფიკაციისა ან მიღების 4 ინსტრუმენტის დადგენის თარიღიდან.

3. ხელმოწერი მხარის რატიფიკაციისა ან მიღების შემთხვევაში კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს 6 თვის შემდეგ რატიფიკაციისა ან მიღების ინსტრუმენტის დადგენის თარიღიდან.

4. ევროპის ეკონომიკური გაერთიანება გახდება კონტრაქტორი მხარე კონვენციაზე ხელის მოწერის შემდეგ. კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს ხელმოწერიდან 6 თვის შემდეგ.

სტატია 49

1. კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტს უფლება აქვს მოიწვიოს შესათანხმებლად ნებისმიერი არა წევრი ქვეყანა.

2. მსგავსი წევრების მოწვევა ხორციელდება ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მიერ წევრად მიღების ინსტრუმენტების დადგენიდან 6 თვის შემდეგ.

სტატია 50

1. კონტრაქტორი მხარეები რატიფიკაციის ინსტრუმენტების შეტანისას ან წევრად მიღების შემთხვევასი ხელის მოწერისას აუცილებლად აღნიშნავენ იმ ტერიტორიას ან ტერიტორიებს სადაც მიღებული იქნა კონვენცია.

2. ყოველი კონტრაქტორი მხარის მიერ რატიფიკაციის ინსტრუმენტების დადგენა და მიღება დეკლარაციის თანახმად მიმართული უნდა იყოს ევროსაბჭოს გენერალური მდივნისადმი, კონვენციის გავრცობა ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე უნდა იყოს დეკლარაციაში აღნიშნული და ასევე მითითებული თუ ვინ არის პასუხისმგებელი საერთაშორისო ურთიერთობებზე ან ვისზე არის პასუხისმგებლობა გადაბარებული.

3. დეკლარაციის ზემოაღნიშნული პარაგრაფები მიუხედავად მასში აღნიშნული ტერიტორიისა შესაძლებელია გამოწვეულ იქნას უკან ამავე კონვენციის 51-ე სტატიით დადგენილი პროცედურების თანახმად.

სტატია 51

1. კონვენცია ძალაში რჩება განუსაზღვრელი ვადით.

2. კონტრაქტორმა მხარეები უფლებამოსილია კონვენციის თაობაზე ბრალდება წაუყენოს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს.

3. მსგავსი ბრალდება ძალაში უნდა შევიდეს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების/უწყების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

სტატია 52³

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა აცნობოს საბჭოს წევრ ქვეყნებს და საბჭოს არაწევრ კონტრაქტორ მხარეებს შემდეგი:

- ა. ნებისმიერი ხელმოწერა;
- ბ. ნებისმიერი რატიფიკაციის ინსტრუმენტი ან მიღება;
- გ. კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღი 48-ე სტატიის თანახმად;

დ. ნებისმიერი დეკლარაციის მიღება 50-ე სტატიის მე-2 და მე-3 პარაგრაფის თანახმად;

ე. ნებისმიერი უწყების მიღება და ბრალდების ძალაში მიღების თარიღი 50-ე სტატიის თანახმად;

ვ. ნებისმიერი ურთიერთობა 47-ე სტატიის 1 პარაგრაფის თანახმად;

ხელმომწერი უნდა ადასტურებდნენ რომ პასუხისმგებელი არიან კონვენციის ხელმოწერაზე.

მიღებულია პარიზში 1968 წლის 13 დეკემბერს, იგლისურ და ფრანგულ ენაზე, ორივე ტექსტი ერთნაირია და ერთჯერადი კოპია რჩება ევროსაბჭოს არქივში. ევროსაბჭოს გენერალულმა მდივანმა დამოწმებული კოპიო უნდა გადასცეს ყველა ხელმომწერ მხარეს.